

წესდების ახალი რედაქცია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი № 6. 11.11.2014

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ წესდება

პრეამბულა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 12 აგვისტოს, რეგისტრაციის № 5/8-115.

ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი მიზნებია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცოდნის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზება. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა. შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. უნივერსიტეტის წესდების რეგულირების სფერო

წესდება არეგულირებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განხორციელების პროცესს, უნივერსიტეტის მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი და სახელწოდება

უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“, შემოკლებით - შ.პ.ს. „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“;

ინგლისურ ენაზე - Tbilisi Teaching University “Gorgasali”.

უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, II ჩიხი N5ა.

2011 წლის 14.06. უნივერსიტეტს შეუერთდა შ.პ.ს. „ლამნი“ (რეგისტრირებული 29.12.1995 წ. ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი: 204881654).

უნივერსიტეტი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის აქტებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სიმბოლიკა

უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკები უნივერსიტეტის სრული დასახელებით.

უნივერსიტეტის დღესასწაულია 13 დეკემბერი - ვახტანგ გორგასლის ხსენების დღე.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მისია, ხედვა და მიზნები

მ ი ს ი ა. ხარისხიანი, ხელმისაწვდომი თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით, რომლებსაც გააჩნიათ უშუალოდ მეცნიერებაში, ასევე, პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული ცოდნის რეალიზაციის უნარი. ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ტრანსფორმირება ინოვაციური ტიპის უნივერსიტეტად, რომელიც შესთავაზებს ახალგაზრდებს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების განვითარების ხელშეწყობა, ორიენტაცია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ჰარმონული და მაღალხეობრივი პიროვნების აღრდაზე ორიენტაცია.

თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება, ვისაც ძალუძს სამეწარმეო იდეების წარმატებული განხორციელება. მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

მომავლის ხედვა. უნივერსიტეტი განვითარდება და ჩამოყალიბდება, როგორც ინოვაციური ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც შესთავაზებს სტუდენტებს ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც შეუწყობს ხელს საკადრო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

უნივერსიტეტის საქმიანობა წარიმართება ინოვაციური განათლების, ინოვაციური კორპორაციული კულტურის ფორმირების გზით, მესამე თაობის საგანმანათლებლო სტანდარტებისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიკროგარემოსთან უნივერსიტეტის ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის განვითარებას, სტრატეგიულ პარტნიორობას კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტებთან და ბიზნესთან.

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

1. საგანმანათლებლო საქმიანობა:
 - მომავალი თაობების აღზრდა ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე დაყრდნობით; საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარება. ცოდნაზე დამყარებული გარემოს შექმნა,
 - ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ევროინტეგრაციის დონის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპონენტის და მაღალი ზნეობრივი სტანდარტების პროფესიონალთა მომზადება,
 - სტუდენტის ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლებისმოყვარე და დემოკრატ პიროვნებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა,
 - სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში; საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება-განხორციელება,
 - მაღალკვალიფიციურ კადრებზე ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა,
 - სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;
2. საზვევების ობიექტების შექმნა და ექსპლუატაცია;
3. სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა;
4. სააფთიაქო ქსელის შექმნა;
5. საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა;
6. ტურიზმის განვითარება;
7. სხვა კომერციული საქმიანობა, რომელიც კანონით არ იკრძალება.

უნივერსიტეტის საქმიანობის საგანია:

- სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მოთხოვნათა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია საკონტროლო ციფრების ფარგლებში კანონით განსაზღვრული წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის;
 - მონაწილეობა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემურ მოდერნიზაციაში;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული და ინფორმაციული მომსახურება (მათ შორის ვირტუალურ რეჟიმში);
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სისტემების, ქსელების, კომუნიკაციებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- უმაღლესი განათლების დარგში ექსპოზიციების, გამოფენების, კულტურულ-მასობრივი, საგანმანათლებლო, ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების, სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ინფორმაციული ქსელების, მონაცემთა ბაზების, პროგრამების შექმნა და განვითარება;
- პრობების შექმნა სტუდენტებისა და პერსონალის გონებრივი და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის, სპორტისა და დასვენებისათვის;
 - სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, სასწავლო-მეთოდური მასალების გამოცემა;
 - უნივერსიტეტის ეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბება და სრულყოფა;

- უნივერსიტეტში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ- პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა;
- უნივერსიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს;

მუხლი 5. საქმისწარმოების ენა

უნივერსიტეტში სამუშაო და საქმისწარმოების ენაა ქართული.

თავი II

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა და მართვა

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

1. შ.პ.ს.-ს მართავს შ.პ.ს. „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ დამფუძნებელი, რომელიც არის ასევე შ.პ.ს.-ს დირექტორი და უნივერსიტეტის რექტორი;
2. მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში საზოგადოებას წარმოადგენს დირექტორი;
3. საზოგადოების ფუნქციონირებისა და საქმიანობის ყველა საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი.
4. უნივერსიტეტის მართვის სრულყოფილად განხორციელების მიზნით რექტორი ქმნის აკადემიურ საბჭოს, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს, ნიშნავს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს, ასევე სხვა თანამდებობის პირებს.
5. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტებისაგან, ბიბლიოთეკის, რექტორის აპარატის, კანცელარიისაგან; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს, სტომატოლოგიური კლინიკა, სხვადასხვა სასწავლო კურსი და მთარგმნელობითი ბიურო, ასევე, სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
6. გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს რექტორი და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. საუნივერსიტეტო ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც რექტორის თანხმობით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები 1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის,
 - ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას,
 - ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში,
 - დ) არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსის საჯაროობას.
2. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო დისციპლინების გამჭვირვალობას.

მუხლი 8. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში აკადემიური საბჭო) არის წარმომადგენლობითი ორგანო. მის შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებსაც წარადგენს რექტორი ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისაგან.
2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, გამოაქვეყნოს განცხადება, გააკეთოს წარდგინება, რომლებსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო:
 - ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ბ) ფაკულტეტის ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს,
 - გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას,
 - დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულების განხილვაში; ამტკიცებს უნივერსიტეტის წესდებებსა და მასში შესატან ცვლილებებს, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს,
 - ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, სტუდენტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს,
 - ვ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს, რექტორის წარდგინებით,
 - ზ) დასანიშნად წარუდგენს რექტორს საკონკურსო კომისიის მიერ რეკომენდებულ აკადემიურ პერსონალს,
 - თ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს, რექტორის წარდგინებით,
 - ი) ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების წარდგინებით,
 - კ) ადგენს შიდა მობილობის გამოცხადების ვადებს,
 - ლ) ადგენს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციების, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობის წესს,
 - მ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს.
 - ნ) რექტორის წარდგინებით ამტკიცებს სწავლის ყოველწლიური და სემესტრული გადასახადის ოდენობას,

- ო) უნივერსიტეტის წესდებით შემუშავებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის დროებით კომისიებს, კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე,
- პ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს,
- ჟ) თანხმობას უცხადებს რექტორს, უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერის ან საზოგადო მოღვაწისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე,
- რ) განსაზღვრავს პროფესორის-მასწავლებელთა დატვირთვის ზღვრულ ოდენობას,
- ს) განიხილავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს,
- ტ) პერიოდულად განიხილავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ქვედანაყოფების ანგარიშებს.
2. აკადემიური საბჭოს წევრს უწყდება აკადემიური საბჭოს წევრობა:
- ა) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეუთავსებელი აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში,
- ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
2. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
3. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3.
4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს, მოითხოვს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
6. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
7. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ აკადემიური საბჭოს წევრები.

მუხლი 11. უნივერსიტეტის რექტორი

1. რექტორი (დამფუძნებელი და დირექტორი იმავდროულად) არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი.
2. რექტორი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული უმაღლესი თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ, აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში. იგი უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. რექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.
3. რექტორი:
 - განსაკუთრებული დამსახურებისათვის, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ანიჭებს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებას უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს,
 - ახორციელებს კანონმდებლობით და წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. რექტორის მოადგილე

უნივერსიტეტის რექტორს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო და სამეცნიერო დარგებში, ასევე, საორგანიზაციო საკითხებში; ახორციელებენ რექტორის მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი მატერიალური რესურსების სფეროში.

მუხლი 14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით; აკრედიტაციის პროცესისათვის ამზადებს თვითშეფასებას.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია, ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს აკადემიურ საბჭოს გაწეული მუშაობის შესახებ.

თავი III უნივერსიტეტის ფაკულტეტები

მუხლი 15. ფაკულტეტები

1. უნივერსიტეტში ოთხი ფაკულტეტია: ა) ჯანმრთელობის დაცვის, ბ) სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის, გ) ჰუმანიტარული, დ) იურიდიული.
2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ, იღებს რექტორი და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება, შევიდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის, სამეცნიერო და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები. გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით, იღებს რექტორი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.
4. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი.

მუხლი 16. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.
2. ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის 1\4-ზე ნაკლები.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა.
4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 17. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება ფაკულტეტის საბჭო:

1. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს,
2. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს,

3. ანიჭებს ბაკალავრისა და მაგისტრის, ასევე დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიურ ხარისხს,
4. ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 18. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანს ნიშნავს რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ.
2. ფაკულტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც:
 - ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას,
 - ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს,
 - გ) შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას,
 - დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოსა და რექტორის გადაწყვეტილებების შესრულებაზე,
 - ე) ახორციელებს ამ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას,
 - ვ) ვალდებულია, ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს აკადემიურ საბჭოს, გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 19. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად.
2. ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო-სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მომსახურეობას.
3. ბიბლიოთეკა წარმართავს სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას.
4. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პერიოდულ გამოცემათა შეძენას, მათ აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას.
5. ბიბლიოთეკის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

მუხლი 20. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები

უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა მოწესრიგებულია შესაბამისი დებულებების საფუძველზე.

თავი IV

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 21. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 22. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს. მათი დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
4. ასისტენტი – პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს, მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 23. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

3. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოქვეყნდეს პრესაში.

მუხლი 24. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირმა, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე, პირმა, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირმა.
4. ასისტენტის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორანტმა.
5. უცხოეთში განათლებამიღებული პირის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ან მოწვევა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული იქნა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

მუხლი 25. აკადემიური პერსონალის უფლებები აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში,
- ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება,
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები,
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 26. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნები,
- ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები და სხვა.

მუხლი 27. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება,
- ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა,
- გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა,
- დ) ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა,

- ე) პენსიაზე გასვლა,
ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 28. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილე, რექტორის აპარატის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი.
2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ამ წესდებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი.
4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნებიან მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, გაუძღვნენ სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

მუხლი 29. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები

ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება,
- ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა,
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობა, დ) გარდაცვალება,
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი V სტუდენტი

მუხლი 30. უნივერსიტეტის სტუდენტი

უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის გასაველელად.

მუხლი 31. სტუდენტის უფლებები უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს: ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება,

- ბ) უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით,
- გ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში,
- დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ,
- ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებში,
- ვ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა,
- ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსაგან, სასწავლო უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები,
- თ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები,
- ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 32. სტუდენტის ვალდებულებები სტუდენტი ვალდებულია:

- უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა,
- დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი.

მუხლი 33. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით.

მუხლი 34. თავისუფალი მსმენელი

1. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირდეს თავისუფალ მსმენელად. თავისუფალ მსმენელს ენიჭება შესაბამისი კრედიტი. სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია, აიღოს სერთიფიკატ(ებ)ი. აღნიშნული კრედიტები აღიარებულ იქნება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
2. თავისუფალ მსმენელად დარეგისტრირება შესაძლებელია არაუგვიანეს სემესტრის დაწყებისა.

მუხლი 35. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები.

თავი VI განათლების საფეხურები

მუხლი 36. განათლების საფეხურები

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლება ორსაფეხურიანია.
2. აკადემიური განათლების საფეხურებია:
 - ა) პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არა ნაკლებ 300 კრედიტს,
 - ბ) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს,
 - გ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა)- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.
3. უნივერსიტეტში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.

მუხლი 37. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომის გადაცემა

უნივერსიტეტი აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ან დიპლომირებული სტომატოლოგის დიპლომს გადასცემს დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.

თავი VII

უნივერსიტეტის საწესდებო ფონდი, ქონება და დაფინანსება

მუხლი 38. უნივერსიტეტის საწესდებო ფონდი, ქონება და დაფინანსება

1. შ.პ.ს. „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ დამფუძნებელია მზია ქათამაძე(დაბადებული.... მცხ. ... პ. მ.№ ... პ. № ...); საზოგადოების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით დამფუძნებლის მიერ შექმნილია საზოგადოების საწესდებო ფონდი 1100 (ათას ასი) აშშ დოლარისა და 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის შენატანებით, რომლის 100%-ი ეკუთვნის დამფუძნებელს.
2. დამფუძნებელს უფლება აქვს, გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო ფონდი. ცვლილება საწესდებო ფონდში ძალაში შედის მხოლოდ სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ.
3. საზოგადოების დამფუძნებელი უფლებამოსილია, მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.
4. თავისი საქმიანობის შესაბამისად საზოგადოება დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ქონებას. მას უფლება აქვს, დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს

ვალდებულებები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, უფლება აქვს, თავისი ქონების მიმართ განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

5. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე.
6. საზოგადოებას აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საქართველოს და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე აქვს ბეჭედი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

თავი VIII

ფილიალები

საზოგადოებას შეუძლია, დააარსოს ფილიალები, წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავი IX

უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 39. უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი
დამფუძნებელი მის მიერ შედგენილ უნივერსიტეტის წესდებასა და მასში ცვლილებებს განიხილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

თავი X რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 40. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის უფლება აქვს საზოგადოების დამფუძნებელს.
2. ლიკვიდაციას აწარმოებს დირექტორი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. დამფუძნებლის გარდაცვალების (ფიზიკური პირის) ან რეორგანიზაციის (იურიდიული პირის) შემთხვევაში, ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა გადადის მის სამართლებრივ მემკვიდრეზე.